ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6690768

ნომერი: AR1991516

თარიღი : 24.09.2023

გაცემის თარიღი : 03.10.2023

გაცნობის თარიღი : 03.10.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , ქუჩა დიმიტრი თავდადებული , კორპუსი N2 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დიმიტრი თავდადებული , კორპუსი 2 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანუჩარ მარგიანი პ/ნ 01015003828
- ქ.თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქ.N16. ბ.8

ორგანიზაცია:

- გ.მ.ს. ჯგუფი კოდი: 402044042

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 4 სექტემბრის №6645083 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 24 სექტემბერს №AR1991516 განცხადებით მომართა მანუჩარ მარგიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 4 სექტემბრის №6645083 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 4 სექტემბრის №6645083 ბრძანებით, №01.10.06.006.287 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 4 სექტემბრიდან 2025 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით.

სამსახურის 2023 წლის 18 სექტემბრის №6667437 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 4 სექტემბრის №6645083 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდა 556.55 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 1535.0 კვ.მ. საერთო ფართობად - 13692.45 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2023 წლის 4 სექტემბრის №6645083 ბრძანებით შეთანხმებული -5.60, -2.80 და 0.00 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2023 წლის 11 სექტემბრის №AR1989048 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2023 წლის 4 სექტემბრის №6645083 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ამჯერად სურს შეთანხმებული -2.80 ნიშნულის გეგმაზე ავტოსადგომების ნუმერაციების გასწორება და თანმიმდევრობით დაფიქსირება. შესაბამისად, შეთანხმებული -2.80 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლება წარმოდგენილით.

სამსახურმა წარმოდგენილი -2.80 ნიშნულის გეგმა შეადარა შეთანხმებულ ამავე ნიშნულის გეგმას და დაადგინა, რომ ამჯერად წარმოდგენილი -2.80 ნიშნულის გეგმაზე ავტოსადგომების ნუმერაციები თანმიმდევრულია, შესაბამისად შესაძლებელია შეთანხმებული -2.80 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლება წარმოდგენილით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 4 სექტემბრის №6645083 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 4 სექტემბრის №6645083 ბრძანებაში და შეთანხმებული (სამსახურის 2023 წლის 18 სექტემბრის №6667437 ბრძანების გათვალისწინებით) -2.80 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 4 სექტემბრის №6645083 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 4 სექტემბრის №6645083 და 2023 წლის 18 სექტემბრის №6667437 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.